პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 10 (3494) | 16 იანვარი, შაბათი. 1968 წ. | ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## მთავარი მოვლენები

წლევანდელი სპორტული სეზონის ყველაზე ღირსშესანიშნავი ღონისძიებებია გრენობლისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშები, მაგრამ ამას გარდა გაიმართება ბევრი საინტერესო ღონისძიება. აი, ისინიც:

### მსოფლიო ჩემპიონატები

**სასრიალო სპორტი** (ქალები) — 27-28 იანვარი, ჰელსინკი (ფინეთი); **სათხილამურო სპორტი** — 29 იანვარი-2 თებერვალი, ავსტრია; **სასრიალო სპორტი** (ვაჟები) — 24-25 თებერვალი, გეტებორგი (შვეცია); **ფიგურული სრიალი** — 27 თებერვალი-3 მარტი, ჟენევა (შვეიცარია); **საპლანერო სპორტი** — 9-23 ივნისი, ლეშნო (პოლონეთი); **ველოსპორტი** (ქალები — ტრეკი და გზატკეცილი) — აგვისტო-სექტემბერი, იტალია; **მოტორბოლა წიდიან ბილიკზე** (პირადი) — 7 სექტემბერი, გეტებორგი (შვეცია); **ჭადრაკი** (ქალები) — სექტემბერი-ოქტომბერი, თბილისი; **ხელბურთი** (ქალები) — ნოემბერი, მოსკოვი, კიევი, ლენინგრადი; **ველოსპორტი** (ვაჟები — ტრეკი და გზატკეცილი) — ნოემბერი, მონტევიდეო (ურუგვაი).

### ევროპის ჩემპიონატები

**ფიგურული სრიალი** — 24-28 იანვარი, ვესტეროსი (შვეცია); **სასრიალო სპორტი** (ვაჟები) — 27-28 იანვარი, ოსლო (ნორვეგია); **მძლეოსნობა** (დახურულ შენობაში) — 9-10 მარტი, მადრიდი (ესპანეთი); **მაგიდის ჩოგბურთი** — 17-25 აპრილი, ლიონი (საფრანგეთი); **ბადმინტონი** — 19-21 აპრილი, ბოხუმი (გფრ); **ცხენოსნობა** (ქალები) — 4-12 მაისი, რომი (იტალია); **ძიუდო** — 11-12 მაისი, პარიზი (საფრანგეთი); **სასტენდო სროლა** — 15-20 ივნისი, ბელგია; **კლასიკური ჭიდაობა** — ივნისი, შვეცია; **თავისუფალი ჭიდაობა** — 15-20 მაისი, სოლუნი (შვეცია); **ძალოსნობა** — 19-25 ივნისი, ლენინგრადი ან მოსკოვი; **კალათბურთი** (ქალები) — 8-15 ივნისი, კუნძული სიცილია; **სროლა** (ქალები და ჭაბუკები) — ივლისი-აგვისტო, ავსტრია; **აკადემიური ნიჩბოსნობა** (ქალები) — 30 აგვისტო-1 სექტემბერი, გრიუნაუ (გდრ); **მშვილდოსნობა** — 6-7 სექტემბერი, ავსტრია; **ფეხბურთი** — თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი — 23 მაისი, როტერდამი (ნიდერლანდები); ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი — 29 მაისი, ლონდონი (ინგლისი).

## 28 იანვარს...

დადგინდა მოსკოვის „ტორპედოსი" და უელსის „კარდიფ-სიტის" შეხვედრათა თარიღები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ტორპედოელი ფეხბურთელები თავიანთ პირველ მატჩს ითამაშებენ 28 იანვარს კარდიფში. განმეორებითი თამაში 19 თებერვალს შედგება ტაშკენტში.

## ერთბაშად სამი...

**რომი,** 15 იანვარი. ნორვეგიელმა სვენ-ერიკ სტიანსენმა მრავალჭიდში 176,982 ქულა დააგროვა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ სტიანსენის რეკორდს დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. იგი ჯერ დასავლეთგერმანელმა ჰ. ციმერმანმა გააუმჯობესა (177,825), ხოლო შემდეგ პ.-ვ. გუტორმსენმაც (ნორვეგია) — 178,057 ქულა. ეს მოხდა მადონა დი კამპილიოს საციგურაოზე.

## მდიდარი ნადავლი

ოდესაში ჩატარდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 10 გუნდი. I ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრა თბილისის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მახარაძის, მოსკოვის, მინსკის, ოდესისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

თბილისელმა ათლეტებმა თავი გამოიჩინეს პირად ჩათვლაშიც. ოთხმა მოიპოვა I, ამდენივემ — II და ორმა — III ადგილი.

ყველაზე მსუბუქ წონით კატეგორიაში (48 კგ) ჩემპიონი გახდა მ. ჩხაიძე, რომელმაც ტურნირი საჯარიმო ქულების გარეშე დაამთავრა.

უმჩატესი წონის მოჭიდავეებიდან ფინალში ასპარეზობდნენ მახარაძელი მ. ბაგაევი და თბილისელი ვ. მაისურაძე. დავა პირველის სასარგებლოდ გადაწყდა, რომელიც გახდა კიდეც ჩემპიონი. მაისურაძეს წილად ხვდა II ადგილი.

მჩატე წონაში ჩვენი თანამემამულე ვ. სულიკაშვილი მხოლოდ VII ადგილზე გავიდა. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მოსკოველმა ვ. პლატონოვმა. სამაგიეროდ, მომდევნო წონაში ბ. მუდირიშვილი III პრიზიორია (I ადგილი დაისაკუთრა მინსკელმა ვ. სობოლევსკიმ). საქართველოს გუნდს კიდევ ერთი პრიზიორი ჰყავს. ქვემსუბუქ წონაში ა. ხოხაშვილმა II ადგილი დაისაკუთრა (ჩემპიონის წოდება მახარაძელმა გ. აჭიევმა მოიპოვა).

მსუბუქ წონაში ჩვენი გუნდის წევრმა გ. სინჯიკაშვილმა წინ მხოლოდ ორი მეტოქე გაუშვა (მახარაძელები ს. გაჭიევი და ა. ისაევი) და III საპრიზო ადგილზე გავიდა.

დანარჩენ 4 წონაში ჩვენმა თანამემამულეებმა 3 პირველი და 2 მეორე ადგილი მოიპოვეს. ქვესაშუალო წონის მოჭიდავეებიდან ფინალში ორი თბილისელი იბრძოდა. ჩემპიონის ტიტული მამედოვმა მოიპოვა, რ. შიოშაშვილი II ადგილზე დარჩა.

ჩემპიონები არიან ნ. შიოშვილი (საშუალო წონა) და ნ. მოდებაძე (მძიმე), ხოლო მ ალურიძე II ადგილზეა ქვემძიმე წონაში (აქ პირველი იყო მოსკოველი ვ. ბესპელიუხინი).

## თბილისელები — აზიის ჩემპიონები

**ბანგალური** (მაისურის შტატი), 15 იანვარი. აზიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. ვაჟთა ერთეულების ფინალურ მატჩში ა. მეტრეველმა მოუგო რუმინეთის ჩემპიონ ი. ცირიაკს — 8:6, 6:8, 6:4, ხოლო ქალთა გადამწყვეტ თამაშში ა. ივანოვამ სძლია თანამემამულე ნ. თუხარელს — 6:3, 6:3. ივანოვამ და თუხარელმა აზიის ჩემპიონობა მოიხვეჭეს ქალთა წყვილებში.

საქართველოს ჩოგბურთელები განაგრძობენ თავიანთ ტურნეს ინდოეთში.

## მინიმალური სხვაობით

**ლენინგრადი,** 15 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „დინამო".

შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში ერთგვარი უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. ისინი ენერგიულად მოქმედებდნენ დაცვაში და უფრო აქტიურები იყვნენ თავდასხმაში. ოცწუთიანი ბრძოლის შემდეგ სადემონსტრაციო დაფა აღნიშნავდა — 33:30 „დინამოს" სასარგებლოდ.

ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა შესვენების შემდეგ. მსაჯის საფინალო სასტვენამდე ძნელი გასარკვევი იყო, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. უკანასკნელ წუთზე „სპარტაკმა" გამარჯვების სასწორი თავის სასარგებლოდ გადახარა — 67:66.

* * *

ამ დღეებში კიევსა და მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მატჩი. აი, მათი შედეგებიც: „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (რიგა) 61:60, ასკ (კიევი) — ასკ (რიგა) 75:69, ცსკა — ვეფ (რიგა) 65:64, ცსკა — ვეფ (რიგა) 61:69.



ბევრი სპორტსმენი როდი დაიკვეხნის ოლიმპიური ოქროს 4 მედლის მოხვეჭას. ეს კი შეძლო შესანიშნავმა საბჭოთა მოციგურავემ ლიდია სკობლიკოვამ ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებში. იგი ახლაც გაცხოველებით ემზადება გრენობლის ოლიმპიადისთვის და შეიძლება გაიმეოროს ინსბრუკის წარმატება.

სურათზე: ლ. სკობლიკოვა ასპარეზობისას.

## საათი

◆ **ადის-აბება,** 15 იანვარი. აფრიკის თასზე ფეხბურთში ჩატარდა II [illegible] და ალჟირის გუნდების მატჩში გაიმარჯვეს ალჟირელებმა — 4:0. ეთიოპიის გუნდმა მოუგო სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებს — 1:0.

◆ **სანტიაგო,** 15 იანვარი. აქ გამართულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ბრაზილიის „სანტოსმა" დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 4:1. პელე მხოლოდ შესვენებამდე თამაშობდა, მაგრამ მან მეტოქის კარის აღება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მისმა პარტნიორმა, ჭაბუკმა ტონინიომ 3 გოლი გაიტანა.

◆ **ბელგრადი,** 15 იანვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე პირველი ფინალური მატჩი ზაგრების „მლადოსტის" წყალბურთელებმა გამართეს ბუქარესტის „დინამოსთან" და გაიმარჯვეს — 4:2.

## გრენობლის საგზურის...

ვოროხტის მიდამოებში ის იყო ბიატლონისტთა შეჯიბრება დამთავრდა, რომ სარბიელი მორბენლებმა დაეთმოთ. როგორც ვწერდით, ქალები 5 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაჟები — 30 კილომეტრზე. მონაწილეებს ფინიშთან ელოდათ ჯილდო — გრენობლის საგზურები და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

ბრძოლაში 70 ქალი ჩაება. როგორც წესი, სტარტიდან პირველი დაიძრნენ ფავორიტები — საერთაშორისო ბრძოლაში, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამოცდილი მოთხილამურეები. პირველ ეშელონში იყვნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი რიტა აჩკინა („შეიარაღებული ძალები"), მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ალევტინა კოლჩინა („დინამო") და სხვა მოწინავე სპორტსმენები, მაგრამ არც მეორე ეშელონი აპირებდა დანებებას...

მორბენლებს ცუდი ამინდი დაუდგათ. ძლიერი ქარბუქი სუსთქვას აძნელებდა, მაგრამ ფინიშისკენ ყველა თავდაუზოგავად მიიწევდა. აჩკინა, მაგალითად, ისე დაიქანცა, რომ ფინიშის შემდეგ მწვრთნელებისა და ექიმების ხელზე გადაესვენა. თუმცა, მან ცუდი შედეგი როდი აჩვენა — 5 კილომეტრის გარბენას 19 წუთი და 35 წამი მოანდომა. კარგი შედეგით დაამთავრა შეჯიბრება კოლჩინამაც — 19.38,0.

პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი ფ. სალიმჯანოვა („სპარტაკი") დიდხანს იყო ასპარეზობის ლიდერი (19.24,0), მაგრამ ოქროს მედალი მაინც ვერ დაისაკუთრა. პირველი ჯილდო წილად ხვდა გორკელ სპორტის ოსტატს, 25 წლის ალევტინა სმირნოვას (19.03,0), რომელიც თხილამურებით მხოლოდ 5 წელია ვარჯიშობს. „ვერცხლი" მოიპოვა გ. კულაკოვამ (ორივე — „ტრუდი") — 19.15,0. სალიმჯანოვა ბრინჯაოს მედალს დაჯერდა. აჩკინასა და კოლჩინას, რომლებიც V და VI ადგილებზე გავიდნენ, თ. პოსნიკოვამაც („შეიარაღებული ძალები") აჯობა — 19.27,0. გრენობლის საგზურს ექვსივე მოთხილამურე მიიღებს.

ვაჟებში კვლავ ფავორიტებმა იმარჯვეს. I ადგილი დაისაკუთრა ვ. ტარაკანოვმა („შეიარაღებული ძალები") — 1:39.33, II ადგილზე გავიდა ვ. ვედენინი („დინამო") — 1:40.02, III — ი. ვორონჩიხინი („ბურევესტნიკი") — 1:40.09. ზამთრის თამაშებში იასპარეზებს გამოცდილი სპორტსმენი ვ. ვორონკოვიც („შეიარაღებული ძალები") — 1:40.33.

## ჭადრაკი...

თბილისში გაიმართა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე კუპერმან — ანდრეიკოს მატჩის XI პარტია. თეთრებით თამაშობდა ანდრეიკო. 67-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, 11 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 6:5 კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება XII პარტია.

# ვაზისუბანიც და სპორტის უბანიც

ვაზისუბნის მილიონერი კოლმეურნეობის ხვავი და ბარაქა საქვეყნოდაა ცნობილი. განთქმული არიან ვაზისუბნელები სპორტის სიყვარულითაც. ამ სოფელმა ერთ-ერთმა პირველმა ითავა საკუთარი სახსრებით სპორტული ბაზების მოწყობა. გურჯაანში ჩასული ყველა სტუმარი უთუოდ ეწვევა ვაზისუბანს. ჩვენ კი... ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ერთხელ კიდევ ახლოს გავცნობოდით მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას.

გზად სოფლის კომპლექსური ბაზის მშენებლობაზე გაგვატარეს რაიონის სპორტკავშირის ხელმძღვანელებმა. მართლაც ჩინებული სარბიელი გამოდის.

— გურჯაანში რომ ცენტრალური სტადიონი არ გვქონდეს, ეს მინდორი შეუდარებელი იქნებოდა, — გვითხრა „ალაზნის" ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დ. ხუნდაძემ.

ჩქარობენ ბრიგადები — ზოგი ბელტს აგებს, ზოგიც ტრიბუნებს აწყობს.

კულტურის სასახლესთან კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს და ფიზკულტურის ინსტრუქტორ გ. ოსიაშვილს შევხვდით. ოსიაშვილი ვაზისუბანში გაიზარდა, ამ სოფლის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა, 1964 წლიდან კი უნარიანად უძღვება ფიზკულტურულ კოლექტივს.

კოლმეურნეობის კულტურის სასახლეში უოველდღე იყრიან თავს აქაური ახალგაზრდები. აქ ბევრი თვითმოქმედი წრე და სპორტული სექცია მუშაობს. მუდამ გაჩაღებულია შეჯიბრება ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭიდაობაში. არც საშუალო და უფროსი ასაკის მშრომლები რჩებიან უყურადღებოდ. მათი საყვარელი სახეობებია ტურიზმი, ნადირობა, თევზაობა, ტყვიის სროლა.

შარშან რაიონის პირველობაში ტოლი არ ჰყავდათ ვაზისუბნელ ფეხბურთელებს, მოჭიდავეებმა კი II ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის" რაიონულ შეჯიბრებაში.

ფიზკულტურის ინსტრუქტორს ვთხოვეთ შრომასა და სპორტში მოწინავე კოლმეურნეები დაესახელებინა: ჩაიწერეთო, — მოგვიგო ოსიაშვილმა და ჩამოთვალა: შ. ნასყიდაშვილი, ჯ. პაიჭაძე, ლ. სოლომონიშვილი, ვ. ვარდოსანიძე, გ. ონაშვილი, ზ. დვალიშვილი, დ. ფირანიშვილი, ა. დათუნაშვილი... მერე დასძინა: ჩემი თხოვნაა, კულტურის სასახლის დირექტორი ა. ბრეგვაძეც ჩაიწეროთ, თვითონ სპორტსმენი არ არის, მაგრამ ჩვენი საქმის ნული და გული ...

მატკივარიაო.

კოლმეურნეობის წევრთა ბავშვებისთვის ვაზისუბნელებს ძალოსნობის სექცია შეუქმნიათ, რომელსაც თავად გ. ოსიაშვილი ხელმძღვანელობს.

ფიზკულტურულ კოლექტივს დიდ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. მალე ვაზისუბნელები ზეიმს გადაიხდიან: მწყობრში ჩადგება ფეხბურთის მინდორი მძლეოსნური სექტორითა და ბილიკებით. მოეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. მერე კი ჯერი საცურაო აუზის მშენებლობაზეც მიდგება.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. ვაზისუბანი,
გურჯაანის რაიონი.

# ხარვეზი ბევრია

ახლახან გაიმართა ბათუმისა და აჭარის განათლების რაიონული განყოფილების გამგეების, სკოლების დირექტორების, ფიზაღზრდის მასწავლებლების, მწვრთნელებისა და სპორტულ საზოგადოებათა მუშაკების თათბირი, რომელმაც განიხილა აჭარის საშუალო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი.

მომხსენებელმა — აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ გ. ქათამიძემ თათბირის მონაწილეებს მოუთხრო რესპუბლიკის მოსწავლეთა სპორტულ მიღწევებზე, იმ დვაწლზე, რაც აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სპეციალიზებულ სპორტსკოლებს, აგრეთვე „დინამოს", „განთიადს", „სპარტაკს" და ადგილობრივ სპორტკავშირებს მიუძღვით მოზარდთა სპორტის განვითარებაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ფიზაღზრდის მასწავლებელთა საქმიანობაზე. მან თქვა, რომ ბევრი მასწავლებელი დიდი სიყვარულით ეკიდება მომავალი თაობის აღზრდას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თავს ვერართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, არ იბრძვიან სპორტის მასობრიობისა და პოპულარიზაციისათვის. სკოლებში, სადაც ასეთი დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები გვხვდებიან, არა მარტო კლასგარეშე სპორტული მუშაობა მოიკოჭლებს, არამედ საგნის სწავლების ხარისხიც დაბალია. ასეა, მაგალითად, ქედის რაიონის სოფელ ძენწმანის, შუახევის რაიონის სოფლების ბარათაულის, შუბანის, ინწკირვეთის, სხეფის, ხულოს რაიონის სოფლების ღორჯომის, მაკეძეებისა და სხვა სკოლებში. ამ სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები ხშირად მოუმზადებელი მიდიან გაკვეთილის ჩასატარებლად, მზად არა აქვთ გეგმა-კონსპექტი, ვერ უღლიან პროგრამულ მასალას. ერთი სიტყვით, გაკვეთილი ტარდება მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით.

კამათში გამოსულებმა — ბათუმის განათლების განყოფილების გამგემ გ. ლორთქიფანიძემ, ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ლ. რიჟვაძემ, ბათუმის რაიონის მეთოდკაბინეტის გამგემ ი. კილაძემ და სხვებმა ილაპარაკეს აჭარის სკოლებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე. მათ აღნიშნეს, რომ ფიზკულტურის სწავლება დაბალ დონეზე დგას მერისის რვაწლიან სკოლაში (მასწავლებელი ზ. კონცელიძე), ქობულეთის რაიონის მე-3 (მასწავლებელი მ.ართმელაძე), ქ. ბათუმის მე-13 (მასწავლებელი ნ. შალამბერიძე), მე-16 (მასწავლებელი დ. მიქაძე), 23-ე (მასწავლებელი ი. ქარჩავა) და ბათუმის რაიონის მთელ რიგ სკოლებში.

თათბირზე ითქვა, რომ აჭარის სკოლა-ინტერნატში დაბალია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე. ხულოს რაიონის სოფელ კირნათისა და ბათუმის პირველ სკოლა-ინტერნატებში უკვე მეექვსე წელია გაიხსნა სპორტული ჯგუფები, მაგრამ აქ ჯერ არც ერთი კვალიფიციური სპორტსმენი არ მოუმზადებიათ. ამ სკოლა-ინტერნატებში ვერც თანრიგოსნებს ზრდიან.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აჭარის სკოლებში სპორტბაზების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის საკითხს. ბათუმის მე-10, მე-16, მე-20 სკოლები ახალ შენობებშია მოთავსებული, მაგრამ სპორტული მოედანი არც ერთს არა აქვს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).
ბათუმი.

## ჩვენი კორესპონდენტი რ. გაბრიჭიძე რუსთავიდან გვწერს:

# როცა წვრთნის პირობა შეიქმნა

რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიულმა ტექნიკუმმა სპეციალისტთა პირველი ჯგუფი ამ ათი წლის წინ მოამზადა. მას შემდეგ ამ სასწავლებელმა ასობით ახალგაზრდას მისცა ცხოვრების საგზური.

ოღონდ ეგ იყო: მოწინავე ტექნიკუმს საკუთარი სპორტული ბაზა კარგა ხანს არ ჰქონდა და ამიტომ ფიზკულტურული მუშაობაც ვერ იდგა სათანადო დონეზე.

სამი წლის წინ სასწავლებელმა ახალი შენობა მიიღო, რომელსაც კარგი სპორტული დარბაზი აქვს. ფიზკულტურელებს სათავეში ჩაუდგა ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მ. ბუაძე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ფიზაღზრდის მასწავლებელ ვ. ჯანელიძისა და თავად სტუდენტების დახმარებით.

თვითონ აწყობდნენ მოედნებს, ყველა ცდილობდა წვლილი შეეტანა საერთო საქმეში. ახლა ტექნიკუმს აქვს ფრენბურთისა და კალათბურთის კარგი მოედნები, ფეხბურთის მინდორი, ტანვარჯიშული ბაქანი... შემდეგ შეიქმნა ტანვარჯიშის, ქართული და კლასიკური ჭიდაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, მძლეოსნობისა და ველოსპორტის სექციები.

სტუდენტმა სპორტსმენებმა ჯერ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა ჩაატარეს, შემდეგ საქალაქო შეჯიბრებებშიც ჩაებნენ. ტექნიკუმების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მათ მხოლოდ თბილისის სამი კოლექტივი გაუშვეს წინ და სხვადასხვა სახეობაში საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის წარმომადგენლებმა ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქალაქო პირველობაშიც ისახელეს თავი: ფრენბურთელმა გოგონებმა I ადგილი დაიკავეს, კალათბურთელები II ადგილზე გავიდნენ. საქალაქო სპარტაკიადაში ტექნიკუმის მაგიდის ჩოგბურთელები, ხელბურთელები და მოჭიდავეები II ადგილზე იყვნენ, ფეხბურთელები და მძლეოსნები — III ადგილზე.

ამ ტექნიკუმში 108 თანრიგოსანი ირიცხება. 400 სტუდენტი „სპარტაკის" წევრია.

# ინტერნატელთა შორის

რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში ჩატარდა საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების I რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება ხელბურთში. მეტალურგთა ქალაქში სასპარეზოდ ჩამოვიდა გოგონათა 8 და ჭაბუკთა 17 გუნდი. მასპინძლები—რუსთაველი მოსწავლეები შეჯიბრებაში... არ მონაწილეობდნენ.

გუნდები ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. უფროსი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფში შედიოდნენ 1951-52 წლებში, საშუალო ასაკის მოსწავლეთა ჯგუფში კი 1953-54 წლებში დაბადებულნი.

უფროსი ასაკის გოგონათა ჯგუფში ჩემპიონობა დაისაკუთრა წულუკიძის გუნდმა (მწვრთნელი ი. ჩიხლაძე), რომელმაც დაამარცხა ზუგდიდის (17:0), ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნისა (12:8) და ახალციხის (6:0) გუნდები.

საშუალო ასაკის გოგონათა ჯგუფში კარგი იყო ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის გუნდი (მწვრთნელი ა. ბერიძე). მახუნცეთელებმა სძლიეს კასპელებს (12:0), ყვარლელებს (5:4) და გაგრის რაიონის სოფელ განთიადის ხელბურთელებს (8:1).

ჭაბუკთა გუნდები ორ-ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ფინალურ შეჯიბრებებში ერთმანეთს ხვდებოდნენ ამ ქვეჯგუფებში ერთსა და იმავე ადგილებზე გასული გუნდები.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა I ქვეჯგუფში კარგად ითამაშა თბილისის მათემატიკური სკოლა-ინტერნატის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ახალციხის (25:5), წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას (18:11) და ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის (22:13) კოლექტივები.

II ქვეჯგუფში გაიმარჯვეს ბათუმის რაიონის სოფელ კირნათის ინტერნატის აღსაზრდელებმა, რომლებმაც მოუგეს გეგეჭკორის (19:7), კოჯრის (23:4), თბილისის 1-ლი (13:3) და ზუგდიდის 1-ლი (15:7) სკოლა-ინტერნატის კოლექტივებს.

თბილისისა და კირნათის გუნდების ფინალური შეხვედრა თბილისელებმა (მწვრთნელი ა. ლაცაბიძე) მოიგეს — 25:9.

საშუალო ასაკის მოსწავლეთა I ქვეჯგუფში გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს გუნდმა ერთი შეხვედრა წააგო ზუგდიდელებთან (5:7), მაგრამ შემდეგ მოუგო ბათუმელებს (4:3), გაგრის რაიონის სოფელ განთიადის მოსწავლეებს (11:4) და ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა. მეორე ქვეჯგუფში I ადგილზეა თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის გუნდი. თბილისელებმა მოუგეს კასპელებს (8:4) და ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის (8:0), ფრედ (8:8) ითამაშეს ყვარლის ინტერნატის აღსაზრდელებთან.

თბილისელ და სალხინოელ მოსწავლეთა შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით—13:4.



ასეთია სამბო...

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „ფედერაცია უნდა ამოქმედდეს"

შარშან 24 ოქტომბრის ნომერში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აფხაზეთის ასსრ ფეხბურთის ფედერაციის უმოქმედობა იყო მხილებული.

როგორც აფხაზეთის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა რედაქციას აცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. 1967 წლის მიწურულს გაიმართა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც დასახა ლონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის. პლენუმზე აირჩიეს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი შემადგენლობა.

## ლიდერებმა პოზიცია შეინარჩუნეს

ტერსკოლში, ჩეგეტის მთის ფერდობებზე დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა. როგორც ვიტყობინებოდით, სპეციალურ სლალომში გაიმართა ნახევარფინალური შეჯიბრებები. ფინალში მხოლოდ საუკეთესოები გავიდნენ.

ქალთა ფინალურმა ტურნირმა უპირატესობა მოუტანა მოსკოველ სპორტის ოსტატს გ. შიხოვას, რომელმაც ორ ცდაში ყველაზე ნაკლები დრო (1.42,2) დახარჯა. ვაჟებშიც ისევ ტ. მონასტირიოვმა (მოსკოვი) ისახელა თავი. აღსანიშნავია, რომ მონასტირიოვმა ორივე ტრასაზე ერთნაირი დრო (49,5 წამი) აჩვენა, გამარჯვებაც მას ერგო.

## სტადიონის პრიზი — სტუდენტებს

ლენინგრადში დამთავრდა ქალაქის მძლეოსანთა ტურნირი ზამთრის სტადიონის პრიზზე. ნაჩვენებია რამდენიმე კარგი შედეგი. მაგალითად, ვ. ილიუშენკომ 3.000 მეტრზე რბენაში გააუმჯობესა ჭაბუკთა საკავშირო მიღწევა დახურული შენობებისთვის — 8.33,6. ვ. ტალალაიმ ჭოკით 480 სანტიმეტრი დაძლია, ვ. ვოიკინის ბირთვი 18 მეტრსა და 14 სანტიმეტრზე დაეცა, ნ. ჩიჟოვასი კი — 17,62 მეტრზე. 20 წლის ე. ბორმა 203 სმ სიმაღლე გადალახა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ამ სახეობაში ყველას აჯობა ფ. ტოლსტიუკმა, რომელიც 206 სანტიმეტრზე გადახტა. ბ. სავჩუკმა 100 მეტრი ორჯერ გაირბინა 10,4 წამში...

პრიზი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

## 1144 სვლა




X პარტიაში კვლავ გათამაშდა რაფაელის დაცვა, რომელიც პირველად აირჩია პრეტენდენტმა. მსოფლიო ჩემპიონმა ორიგინალურად და დამაჯერებლად ააგო მიუდგომელი პოზიცია. ნათელი შეიქნა, რომ ანდრეიკო ვერ გაართულებდა თამაშს. პრეტენდენტს არ სურდა თავისი განზრახვის გამომჟღავნება და მე-20 სვლაზე საეჭვო გეგმა აირჩია, ხოლო მისი უხეირო 26-ე სვლის შემდეგ კუპერმანმა ხელთ იგდო ინიციატივა.

ანდრეიკომ თავდადებული დაცვით უვნებელყო მსოფლიო ჩემპიონის შემტევი ძალა და მე-60 სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, უკან დარჩა მარათონული დისტანციის ნახევარი. მეტოქეებმა დაფასთან 40 საათი და 44 წუთი გაატარეს და 1144 სვლა გააკეთეს. უკვე შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანაც.

სტარტზე პრეტენდენტი მძლავრად და მიზანდასახულად უტევდა მეტოქეს, პირველი სამი პარტიიდან მან ორის მოგებაც კი შეძლო. შემდგომ ინიციატივას მსოფლიო ჩემპიონი დაეუფლა, მაგრამ პირველმა 8 პარტიამ მაინც ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა უპირატესობა.

IX პარტიაში კუპერმანმა დაამტკიცა, რომ იგი სამართლიანად ატარებს შაშის დიდი სტრატეგის სახელს. მისი გამარჯვება ამ პარტიაში, რომელიც შაშის ყველა სახელმძღვანელოში შევა, სავსებით კანონზომიერი იყო.

თუმცა საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ შეიძლება ითქვას: ანდრეიკოს მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. ჩემპიონის გვირგვინის მოსაპოვებლად მან 6 ქულა უნდა მოაგროვოს დარჩენილ 10 პარტიაში, კუპერმანს კი 4,5 ქულაც ჰყოფნის ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის.

მატჩის მეორე ნახევარი უაღრესად დაძაბულ ბრძოლას გვპირდება.

გროსმაისტერი **ვ. გოროდეცკი,**
**სსრ კავშირის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

## „ჩემო... ჰასუხი..."

სამხერის რაიონის სოფ. ბაჯითის მკვიდრი შ. ცაბაძე გვეკითხება, რა განსხვავებაა 64-უჯრიანი (რუსული) და საერთაშორისო (ასუჯრიანი) შაშის თამაშის წესებსა და ნოტაციაში.

რუსული და საერთაშორისო შაშის თამაშის წესებს შორის არსებითი განსხვავება არ არის. განსხვავებულია მხოლოდ სამი წესი, რომელთაც მეტი სიმძაფრე შეაქვთ ასუჯრიანი შაშის თამაშში:

1. თუ არის ორი ან მეტი შაშის აყვანის შესაძლებლობა, სავალდებულოა მეტის აყვანა, მიუხედავად შაშის ხარისხისა (უბრალო იქნება იგი თუ მარბიელი). ამ წესს „უმრავლესობის წესი" ჰქვია.

2. როცა შაში აყვანის შედეგად მარბიელი გახდება, იგი „მოკვლის" უფლებას მხოლოდ შემდეგ სვლაზე ღებულობს.

3. როცა აყვანის შემდეგ შაში მარბიელის უჯრაზე მეტოქის შაშის გვერდით აღმოჩნდება, იგი ვალდებულია განაგრძოს „მოკვლა" და უბრალო შაშად რჩება.

ასუჯრიანი შაშის ნოტაცია შემოიღო ფრანგმა ს. მანურიმ. აი, ისიც:



სვლები იწერება ისე, როგორც რუსულ შაშში: ჯერ აღინიშნება ის უჯრა, სადაც შაში დგას, შემდეგ იმ უჯრის დასახელება, საითაც იგი გადაინაცვლებს. ჩაწერის დანარჩენი წესებიც ორივე შაშში საერთოა.

პოზიციის ჩაწერისას იხმარება შემოკლებითი აღნიშვნა, მაგალითად, 27/34. ეს ნიშნავს, რომ ყველა უჯრაზე 27-დან 34-მდე შაში დგას.

ცაგერის რაიონის სოფ. ცაგერის მკვიდრს ე. ახვლედიანს აინტერესებს რატომ არ არის ასუჯრიანი შაში პოპულარული საქართველოში, რატომ არ იყიდება მისი დაფები მაღაზიებში.

ასუჯრიანი შაში ახალი ხილია ჩვენში. საქართველოსა და თბილისის პირველობები სულ ორიოდე წელია ტარდება. ალბათ, მასაც გამოუჩნდებიან ქომაგები და მაშინ სავაჭრო ორგანიზაციებიც დაფაცურდებიან: მაღაზიებში გამოჩნდება ასუჯრიანი დაფებიც.

X თეთრი ოლიმპიადის მონაწილე მოთხილამურეთა შეჯიბრება სოფელ ოტრანის მიდამოებში გაიმართება. ამ სურათზე სწორედ ეს ადგილებია აღბეჭდილი.



JEUX OLYMPIQUES D'HIVER X[es] GRENOBLE 1968

# საფრანგეთის ალპებისთვის...

ა. გრიგასმა სულ ერთი წელია თავს იდო ტრამპლინიდან მხტომელების ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობა. მაგრამ ამ კაცს მაინც არ შეიძლება დავარქვათ ახალბედა, რომელმაც უმოკლეს დროში მთები დასძრა. გრიგასი ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტია სათხილამურო სპორტში. იგი ლენინგრადში ცხოვრობს და მუშაობს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ გრენობლში გამგზავრების კანდიდატთა უმრავლესობა სწორედ ლენინგრადელია.

გრიგასი აას-ის კორესპონდენტებს ესაუბრა თავისი მუშაობის შედეგებზე და ოლიმპიურ ნაკრებზე.

**● როდის დაიწყეთ მზადება გრენობლის თამაშებისთვის?**

— პირველ ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ სპეციალური დატვირთვა 1967 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. მზადების პრაქტიკულ საკითხებზე ფიქრი ივლისში დავიწყეთ.

ტრამპლინიდან ხტომა წვრთნის მხოლოდ ცალკეულ განსაზღვრულ ციკლებში შეგვქონდა, მაგრამ ძალიან კონცენტრირებულად.

ფიზიკური თვისებების სტაბილიზაციას სპეციალური მომზადების საშუალებებითაც ვაღწევთ. ზამთრის დამდეგისთვის ყველაზე მეტად ხტომის ტექნიკური ჩვევების ალდგენით ვიყავით დაინტერესებული.

თოვლზე სავარჯიშოდ ოქტომბრის ბოლოს გამოვედით. გვინდოდა, რომ პირველ ხანებში მხტომელებს რბოლასა და სლალომში ევარჯიშათ. სისწრაფე მათთვის აუცილებელია. და რაკი უფრო ინტენსიური წვრთნა ადრე გვქონდა ჩატარებული, ახლა შეძელით ახლებურად დაგვეგეგმა მეცადინეობა ძირითად პერიოდში.

**● ესე იგი, წვრთნის რომელ სისტემას მისდევდით?**

— ნახტომი ტრამპლინზე კი არა, გაცილებით ადრე იწყება. მისი კონტურები უკვე საწვრთნელ გაკვეთილზე გამოიკვეთება. ჩვენ გვსურდა დაგვეძლია ამ გაკვეთილების მონოტონურობა. სპორტსმენის ნერვული სისტემის ერთფეროვნებით გადაღლა არ შეიძლება. მას უნდა შევუნარჩუნოთ ვარჯიშის წადილი და შეიძლება, აზარტიც. მაგალითად, დიდი დატვირთვა პირველ თოვლს უნდა დავუკავშიროთ, შემდეგ კი ინტენსიობა გავზარდოთ. ერთი სიტყვით, ხარისხისთვის ვიბრძოლოთ.

თოვლმა თითქოს გაგვიმტყუნა იმედი. ჩვენ დიდხანს ველოდით მას და უკვე ნერვიულობაც დავიწყეთ. მხტომელებს ხტომა უნდოდათ და შეიძლებოდა გული გასტეხოდათ. საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. კიროვსკში ყველა სპორტსმენმა მოასწრო 40-50 ნახტომი, შემდეგ კი დაიწყო ფინეთის ტურნე, რომელმაც დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ჩვენ სულ სხვადასხვა ტრამპლინზე გამოვცადეთ თავი. ყოველ შეჯიბრებაში რაღაც ახალს ვცდიდით.

ჩვენს შემდგომ გეგმებში შედიოდა ტურნე გდრ-ში, შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც სვერდლოვსკში ტარდებოდა ჰორიზონტალურ ტრამპლინზე და ბოლოს, საკავშირო პირველობა ბაკურიანში, სადაც დიდი სიმძლავრის ტრამპლინია.

**● გუნდი უკვე დაკომპლექტებულია?**

— ზოგადად დაკომპლექტებულია, თუმცა ეს ახლა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ადრე. ჩვენ უარი ვთქვით უცვლელ სამეულზე: კამენსკი, შამოვი, წაქაძე. კობა წაქაძე მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და კიროვსკში დამოუკიდებლად, ინდივიდუალური გეგმით ვარჯიშობდა, მაგრამ საერთო აზრი ასეთია: გრენობლში იგი არ გამოვა.

**● ვინ გამოვა?**

— საქმე ის არის, რომ თოვლზე ვარჯიშის დაწყებამდე ათი-თორმეტი კაცი გვყავდა შერჩეული. აქ იყვნენ სახელგანთქმული სპორტსმენებიც და ახალგაზრდებიც. უნდა გითხრათ, რომ იმედი ყველამ გაგვიმართლა, მაგრამ უკეთესთა გამორჩევა მაინც აუცილებელი იყო. გუნდში სულ 5-6 კაცი შედის. ამას გარდა, გრენობლში მხოლოდ უძლიერესები წავლენ. და მაინც, კონკურენცია ისე ძლიერია, რომ დღესაც კი მხოლოდ გუნდის კანდიდატების დასახელება შემიძლია.

პეტრე კოვალენკო, ალექსანდრე ივანიკოვი, მიხეილ ვერეტენიკოვი, გარი ნაპალკოვი, ვიქტორ კრიუკოვი, ვლადიმერ ბელოუსოვი, იური ზუბარევი და ნიკოლოზ იაბლოკოვი. რომელი მათგანი იასპარეზებს გრენობლში? ამ შეკითხვაზე მხოლოდ გამგზავრების წინ შემიძლია პასუხის გაცემა.

ტრამპლინიდან მხტომელთა საბჭოთა გუნდი ახლა უფრო ახალგაზრდული იქნება, ვიდრე ინსბრუკში, — კანდიდატთა საშუალო ასაკი 22 წელია. იმედი მაქვს, რომ ეს გუნდი უფრო ძლიერიც იქნება.

**● კონკრეტულად ვისი იმედი გაქვთ?**

— მისი, ვინც ოლიმპიური სტარტების წინ ყველაზე უკეთეს ფორმაში იქნება. მწვრთნელებმა შევადგინეთ წინაოლიმპიური წვრთნის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ფორმა თანდათან იხვეწება. მწვერვალს საფრანგეთის ალპებისთვის უნდა მივაღწიოთ. მაგალითად, წინა წლებისაგან განსხვავებით, ჩვენ სპორტსმენებისთვის მიზნად არ დაგვისახავს, რომ მათ ხელოვნურ საფარზე ეჩვენებინათ მაღალი შედეგები. არ ვჩქარობდით დასკვნების გამოტანას ზაფხულის შედეგების მიხედვით. გვაღელვებდა მხოლოდ ტექნიკის საკითხი.

აი, ახლა დგება მომენტი, როცა ყველაფერი მზადაა ოლიმპიური სარბიელისთვის. რამდენად ეფექტური იყო ჩვენთვის შარშანდელი წელი, ეს უახლოეს დროში გამოჩნდება.

## მორიგ ეტაპზე

გაიმართა სამთომოთხილამურეთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მორიგი შეჯიბრებები. ბადენ-ბადენში ვაჟები გიგანტურ სლალომში ასპარეზობდნენ. ტურნირის ლიდერია თასის შარშანდელი მფლობელი ჟან-კლოდ კილი (საფრანგეთი).

ქალებმა ობერშაუფენში ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ გრინდელვალდში გადაინაცვლეს და ტურნირის ეს ეტაპი გიგანტური სლალომით დაიწყეს. ბედმა აქაც თასის შარშანდელ მფლობელს გაუღიმა — კანადელმა ნ. გრინმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. ახლა მას 55 ქულა აქვს. II ადგილზე გავიდა ფრანგი მ. გოიშელი, რომელიც საერთო ჩათვლაშიც II ადგილზეა — 45 ქულა. ფ. ბოშატეიმ გიგანტურ სლალომში III ადგილი დაიკავა. საერთო ჯამში მას 40 ქულა აქვს.

# ჯვრითა და... ბურთით



ჩვენს კოსმოსურ ეპოქაში ძნელად, რომ ვინმეს ღმერთის იმედი ჰქონდეს. მისი არსებობა უკვე მორწმუნეებსაც კი ეეჭვებათ. სულიერი მამები იძულებული არიან ათასგვარ ხერხს მიმართონ, რათა ეკლესიას ხალხი არ შემოაკლდეს.

მისიონერთა ერთმა ჯგუფმა კორდილიერები გადალახა პერუსა და ბოლივიის საზღვარზე. ზურგჩანთები ეკიდათ, ბიბლია ეჭირათ, მტკიცე რწმენით აღსავსენი მიდიოდნენ.

მათ დიდხანს იარეს ისეთ ადგილებშიც კი, სადაც თეთრკანიანს ჯერ არ დაედგა ფეხი და ბოლოს თითქმის ველური ინდიელების ტომს წააწყდნენ. ინდიელები სტუმრებს არც ისე მეგობრულად შეხვდნენ. მასპინძლებმა გულდასმით გაჩხრიკეს მისიონერთა ზურგჩანთები და ერთ-ერთ მათგანში უცნაური მრგვალი საგანი ნახეს. ეს საგანი ბურთი გახლდათ. იგი დიდხანს გადადიოდა ხელიდან ხელში, ვიდრე ერთ-ერთმა მისიონერმა არ მოიფიქრა და ბურთს ფეხი არ დაარტყა.

პრაქტიკული მისიონერები წამსვე მიხვდნენ, რომ ბურთი ბიბლიაზე მეტ სამსახურს გაუწევდათ. „ურწმუნოთა“ მოქცევის პირველი ცდა... ფეხბურთით დაიწყო.

შეუპოვრობა და შრომისმოყვარეობა, რომლითაც ინდიელები ფეხბურთის საიდუმლოებას დაეწაფნენ, ბევრ გამოცდილ მწვრთნელს შეშურდებოდა. ინდიელები მალე გაეცნენ თამაშის ძირითად ელემენტებსაც და შეჯიბრების წესებსაც. გაჩაღდა ისტორიაში უნიკალური მატჩი — მისიონერებისა და ინდიელების მატჩი. ახალბედებს აუხსნეს, რომ გუნდში 11 კაცი უნდა თამაშობდეს, მაგრამ ინდიელები ცამეტნი იყვნენ და მინდვრის დატოვება არც ერთმა არ ისურვა. თამაში გვიან ღამემდე გაგრძელდა. მისიონერები ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ მატჩი ვერ შეწყვიტეს. შედეგი? 49 : 3 დებიუტანტების სასარგებლოდ.



## კლარკს დისკვალიფიკაცია ემუქრება

როგორც ცნობილი გახდა, მსოფლიოს რეკორდსმენმა 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, ავსტრალიელმა სტაიერმა რონ კლარკმა განიზრახა მაისიდან აშშ-ს მაღალმთიან ქალაქ ალამოსში ივარჯიშოს და ამერიკელ სტაიერთა წვრთნასაც უხელმძღვანელოს. კლარკს გადაწყვეტილი აქვს, ალამოსში ოლიმპიადის გახსნამდე დარჩეს.

სამოყვარულო წესით, სპორტსმენს მთის პირობებში ვარჯიშის უფლება (მხოლოდ 6 კვირის მანძილზე ვარჯიშისა) თამაშებამდე 3-4 თვით ადრე ეძლევა, მაისიდან მეხიკოს ოლიმპიადის დაწყებამდე კი 5 თვეზე მეტია. თუ ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის გაფრთხილება ყურად არ იღო, მსოფლიოს რეკორდსმენს დისკვალიფიკაცია ემუქრება.

## ლიუბანსკი აფასებს ხურცილავას

პოლონეთის უძლიერეს ფეხბურთელად აღიარებულმა ვ. ლიუბანსკიმ ამას წინათ საინტერესო ინტერვიუ მისცა ვარშავის ჟურნალ „სპორტოვეცის“ მიმომხილველ ი. იაბრჟემსკის.

● **რომელი პოლონელი თავდამსხმელი მიგაჩნიათ სამაგალითოდ?**

— პოლი.

● **უცხოელ თავდამსხმელთაგან რომლებს თვლით უძლიერესებად?**

— აღრინდელ მოთამაშეთაგან — პუშკაშს, თანამედროვეთაგან — ეუსებიოს.

● **ახლა მცველებზე ვილაპარაკოთ. პოლონელ მცველთაგან რომელს მიიჩნევდით თქვენთვის სხვებზე უფრო „უხერხულ“ მოწინააღმდეგედ?**

— პოლონეთში ჩემს ყველაზე ძნელ მეტოქედ გმოხს ვთვლი.

● **უცხოელ მცველთაგან რომლების წინააღმდეგ გიძნელდათ თამაში?**

— ესენი არიან ინგლისელები ჯ. ჩარლტონი, მური და საბჭოთა ფეხბურთელი ხურცილავა.

● **რას იტყვით თქვენს შარშანდელ „საშემოდგომო“ ფორმაზე?**

—ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად შესანიშნავად ვიყავით მომზადებული და სწორედ ამით უნდა აიხსნას წარმატება კიეველებთან. გვინდა ასევე მოვემზადოთ ინგლისელებთან შეხვედრისთვისაც.

## „გურნიკის“ გეგმები

პოლონელი მიმომხილველები არ მალავენ, რომ ზაბჟეს „გურნიკს“ ძალიან სახიფათო მეტოქე შეხვდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახით. ამის მიუხედავად, პოლონეთის ჩემპიონის მწვრთნელები — დოქტორი გ. კალოჩაი და ე. პოლა ოპტიმისტურად არიან განწყობილი. პოლონეთის ფეხბურთის მესვეურები აცხადებენ, რომ „გურნიკს“ ყოველგვარ პირობას შეუქმნიან მოსამზადებლად. დოქტორმა კალოჩაიმ შეიმუშავა გუნდის მომზადების საგანგებო გეგმა. მისი აზრით, ყველა მოწინავე მოთამაშე ახლა კარგ ფორმაშია.

**როგორც პრაღის გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ კორესპონდენტი ზაბჟედან იუწყება, „გურნიკის“ ხელმძღვანელობა აპირებს ინგლისელებთან თამაშის წინ საწვრთნელი შეკრება საქართველოში გამართოს.**

ფეხბურთი

## გაიმარჯვეს უნგრელებმა

ლივერპულში შედგა განმეორებითი მატჩი ფეხბურთში ბაზრობათა თასზე უნგრეთის „ფერენცვაროშსა“ და ინგლისის „ლივერპულს“ შორის (პირველი შეხვედრა უნგრელებს თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0).

ინგლისელებმა თითქმის მთელი მატჩი შეტევაში გაატარეს, მაგრამ ვერ შეძლეს „ფერენცვაროშის“ კარის აღება. სამაგიეროდ, უნგრელებმა, რომლებიც თამაშობდნენ თავიანთი საუკეთესო ფორვარდის ალბერტის გარეშე, თავიანთი ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრეს და მეორე გამარჯვება მოიპოვეს. ისინი გავიდნენ ბაზრობათა თასის შემდგომ ტურში.

## ერერა ედავება ექიმებს

„ინტერნაციონალეს“ ექიმებმა ამ დღეებში გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გუნდის მარცხის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნიათ მოთამაშეთა უჩვეულოდ დიდი დატვირთვა. საწვრთნელი ვარჯიშების ის კომპლექსი, რომელსაც ე. ერერა აუცილებლად ხდის ფეხბურთელთათვის, ექიმის აზრით, მათ დიდ ძალას ართმევს. მოთამაშეები ისე იქანცებიან, რომ აღარ შესწევთ უნარი თავი გაართვან დაძაბულ მატჩებს.

ამის საპასუხოდ ე. ერერამ განაცხადა, რომ მისი საწვრთნელი მეთოდები სწორია და არაერთგზის შემოწმებული სხვადასხვა გუნდში, რომ ამ ექიმებს „არაფერი გაეგებათ არც ფეხბურთში და არც მედიცინაში“.

„ინტერის“ პრეზიდენტი ა. მორატი ამაოდ ეცადა როგორმე შეერიგებინა მხარეები: „ინტერის“ ორ ექიმს (სამიდან) გუნდის დატოვება მოუხდა.

## ყოველი მხრიდან

### „კუბერტენის სულისკვეთებით“

„სოციალისტური სპორტული მოძრაობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოლიმპიური იდეებითაა გაპირობებული. აქ მეფობს ჭეშმარიტად პიერ კუბერტენის სულისკვეთება. ამაში დავრწმუნდით ლაიპციგის ფიზკულტურისა და სპორტის უმაღლესი სკოლის მწვრთნელთა პრაქტიკუმზე“, — ასეთი განცხადება გააკეთა სამხრეთ გვინეის მძლეოსნური ლიგის გენერალურმა მდივანმა მამადუ დიარსომ გდრ-იდან დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდობისა და სახალხო კულტურის სახელმწიფო სამდივნოში. მ. დიარსომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპორტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ გდრ-ის როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. სპორტსმენებს სახელმწიფო ყოველმხრივ უჭერს მხარს, რაც მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებშია შესაძლებელი.

დიარსომ, რომელიც თავად გვინეის სპორტის ოსტატია, განსაკუთრებით აღნიშნა გერმანიის ფიზკულტურისა და სპორტის უმაღლესი სკოლის მიღწევები სპორტსმენთა წვრთნის მეთოდიკის დამუშავებაში. „ჩვენი მიზანია, — თქვა მან, — საფუძვლიანად გამოვიყენოთ მათი გამოცდილება. ეს განსაკუთრებულ დახმარებას გაგვიწევს მეორე აფრიკული თამაშებისთვის, რომელიც 1969 წელს ბამაკოში უნდა ჩატარდეს“.

დიარსოს აზრით, მისი ქვეყანა ძალზე დაინტერესებულია გდრ-ის სპორტის მოღვაწეებთან, სპორტსმენებთან კავშირით. „ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციები მტკიცედ მეგობრობენ თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირთან (გდრ). გვსურს, რომ ასეთი კავშირი დამყარდეს სპორტსმენთა შორისაც“.

დასასრულ მამადუ დიარსომ განაცხადა, რომ გვინეისა და გდრ-ის ამასწინანდელი შეთანხმება ფიზკულტურასა და სპორტში ერთობლივი მუშაობის შესახებ (1968-1970 წლებში) საუცხოო საწინდარი იქნება სასურველი მეგობრობისა.

### „საახალწლო საჩუქარი“

დასავლეთ გერმანიის კლუბ „ვერდერის“ (ბრემენი) ადმინისტრაციამ მაყურებლებს „საახალწლო საჩუქარი“ შესთავაზა. ახლა მათ ტრიბუნის შესასვლელი, უადგილო ბილეთისთვის 4,5 მარკის ნაცვლად 5 მარკა უნდა გადაიხადონ. ადგილი უკვე 13 კი არა. 14 მარკა ღირს.

კლუბის ხელმძღვანელობამ მოკლედ და ნათლად ახსნა ეს გადაწყვეტილება: „მხოლოდ ამ გზით შევვიძლია ამოვიგოთ ხარჯი, რომელსაც პროფესიულ კლუბებზე დაწესებული გადასახადი იწვევს“.

„ვერდერის“ გუნდი გამონაკლისი როდია. გფრ-ის ბანკებმა მნიშვნელოვნად გაუზარდეს გადასახადი ყველა პროფესიულ კლუბს. აი, რას წერს ამის თაობაზე დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ბილდ-ცაიტუნგი“.

„გადასახადის გაზრდის გამო ფედერალური ლიგის მატჩებზე დასწრება კიდევ უფრო გაძვირდება. ყველა სახეობის მეფე — ფეხბურთი მაყურებელს სალაროში ეპატიჟება: გადაიხადეთ! გფრ-ის უმაღლესი ლიგის ცამეტმა კლუბმა (თვრამეტიდან) უკვე მნიშვნელოვნად მოუმატა ბილეთებს ფასი. გადასახადების 5,09 პროცენტით გაზრდამ იძულებული გაგვხადა, რომ ბილეთები გაგვეძვირებინაო, ამბობენ კლუბების ადმინისტრაციის წარმომადგენლები“.

„როგორც კლუბების წარმომადგენლები ფიქრობენ, — წერს შემდეგ გაზეთი, — წლეულს მათი ვალი 80-დან 150 ათას მარკამდე გაიზრდება. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ზოგიერთ გუნდს გაკოტრებისგან მხოლოდ ბილეთების გაძვირება იხსნის“.

„ესე იგი, გადასახადის გაზრდამ, — განაგრძობს „ბილდ-ცაიტუნგი“, — ისევ შეუტია მაყურებლის ჯიბეს. ფედერალური ლიგის მატჩები არასოდეს არ იყო იოლად ხელმისაწვდომი სიამოვნება. ახლა კი იგი კიდევ უფრო გაძვირდა“.



ტაილანდის კრივის წესებით ნებადართულია ილეთები, რომლებსაც მსოფლიოში აღიარებული კრივი სასტიკად კრძალავს. მოკრივეები რინგზე გამოდიან ხელთათმანებით, მაგრამ ფეხშიშველი. ნებადართულია დარტყმა იდაყვითა და ფეხითაც.

სურათზე: ბრძოლის მომენტი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

## თარიღები დადგინდა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩები უნდა შედგეს მოწინააღმდეგე მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით და შეხვედრათა თარიღები ეცნობოს საფეხბურთო ასოციაციათა ევროპის კავშირს. მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, რომ მოწინააღმდეგეები ვერ თანხმდებიან და მაშინ მატჩების თარიღებს განსაზღვრავს უეფა.

ასე მოხდა, მაგალითად, უნგრეთის „ვაშაშისა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ შეხვედრათა განსაზღვრისას. უეფა-მ დაადგინა პირველი მატჩი შედგეს 6 მარტს ბუდაპეშტში, ხოლო საპასუხო — 14 მარტს ლისაბონში. თუ საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩის მოწყობა მათ შორის, იგი შედგება 4 აპრილს მილანში.

ჩემპიონთა თასის სხვა მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება შემდეგ რიცხვებში: „რეალი“ და „სპარტა“ 6 მარტს ითამაშებენ მადრიდში, ხოლო 20 მარტს — პრაღაში; „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „გურნიკი“ — 8 თებერვალს მანჩესტერში, 13 მარტს — ხოჟუვში; „აინტრახტი“ — „იუვენტუსი“ — 31 იანვარს ბრაუნშვაიგში, 20 თებერვალს — ტურინში.

თასების მფლობელთა თასზე მატჩები შედგება ასეთი განრიგით: „ჰამბურგი“ და „ლიონი“ — 21 თებერვალს ჰამბურგში, 20 მარტს ლიონში; „სტანდარდი“ და „მილანი“ — 28 თებერვალს ლიეჟში, 13 მარტს — მილანში; „ვალენსია“ და „ბაიერნი“ — 31 იანვარს ვალენსიაში, 13 მარტს — მიუნხენში.

ფეხბურთი

### დღეს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი გ. ჯინჭარაძე).
2. არჩევნები.

დასაწყისი 17 საათზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-80, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-12, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 03116